საქართველოს გენერალური პროკურატურა

2022 წ.

პროექტის დასახელება: სტუდენტური პროექტი - **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო**

პროექტის ხანგრძლივობა: 2-2.5 თვე

სასწავლო დაწესებულება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

პროექტის მიზნები:

- ახალგაზრდა იურისტების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება.
- სტუდენტების პროფესიულ წინსვლასა და პიროვნულ განვითარებაში მხარდაჭერა.
- უმაღლეს სასწავლებელში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა.
- სტუდენტებში პროკურატურის საქმიანობის სანდოობისა და გამჭვირვალობის გაზრდა.
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე, პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლის გაცნობა.
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე, მოსამართლის როლის გაცნობა.

პროექტი შედგება **თეორიული** და **პრაქტიკული** ნაწილისგან. თეორიული ნაწილი მოიცავს სტუდენტებისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ინფორმაციის მიწოდებას/დამოუკიდებლად მოძიებას, ხოლო პრაქტიკული ნაწილი - აღნიშნული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობას.

1-ლი ეტაპი:

თეორიული მასალის სწავლება:

- ❖ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის თანამედროვე პრაქტიკის ანალიზი.
- ❖ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესამდე გასათვალისწინებელი დეტალები.
- ❖ ნაფიც მსაჯულთა შერჩევა.
- ❖ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის შესავალი და დასკვნითი სიტყვა.
- ❖ პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა.

მე-2 ეტაპი:

დამოუკიდებელი მუშაობა:

- ❖ სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი მოდელის მიხედვით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ინფორმაციის მოძიება/ანალიზი.
- ❖ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოში არსებული რეალობის შედარება.

მე-3 ეტაპი:

პრაქტიკული ნაწილი:

- ❖ ინტერვიუები ნაფიც მსაჯულებთან.
- ❖ იმიტირებული სასამართლო პროცესის ჩატარება.

შეჯამება:

სტატიები - თეორიული და პრაქტიკული ნაწილის დასრულების შემდეგ, სტუდენტები შეჯამების მიზნით დაწერენ სტატიებს, აღნიშნული პროექტის შესახებ. რატომ იყო მათთვის მნიშვნელოვანი ამ პროექტში მონაწილეობის მიღება.

სამუშაო ფორმატი:

- **Offline** - იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტებში სწავლა მიმდინარეობს დისტანციურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილი განხორციელდეს რეალურ სასწავლო/სამუშაო სივრცეში, არსებული რეგულაციების დაცვით.
- **Online** - ეპიდსიტუაციის გაუარესების შემთხვევაში თეორიული ნაწილი ჩატარდება ონლაინ.